

სამოქალაქო წინააღმდეგობის სამი ძირითადი პრინციპი: ერთიანობა, დაგეგმვა, დისციპლინა

ჰარდი მერიმანი, 19 ნოემბერი, 2010

სამი ნიშანი განასხვავებს ერთმანეთისგან წარმატებულ და წარუმატებელ სამოქალაქო კამპანიებს მთელ მსოფლიოში: ერთიანობა, დაგეგმვა და არაძალადობრივი დისციპლინა

როგორია ეფექტური არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობის კამპანიები?

თუ მივიღებთ იმ აქსიომას, რომ „პოლიტიკურ ძალაუფლებას არავინ არავის ჩუქნის, არამედ მას მოიპოვებენ“, მაშინ ვერ გავექცევით დასკვნას, რომ წარმატებულმა არაძალადობრივმა მოძრაობებმა როგორღაც შეძლეს ოპონენტზე მეტი პოლიტიკური ძალაუფლების თავმოყრა თავის გარშემო და სწორედ რომ ეს გახდა მათი წარმატების მიზეზი.

ჩვენი მოსაზრება გვთავაზობს, განსხვავებულად ვიმსჯელოთ ძალაუფლების საკითხებზე და კრიტიკულად შევხედოთ საყოველთაოდ მიღებულ ჭეშმარიტებას, რომლის მიხედვითაც, ძალაუფლების წყარო მატერიალური რესურსებისა და ძალადობის ინსტრუმენტების კონტროლის შესაძლებლობაა. თუ აღნიშნულ დაშვებას დავეყრდნობით, არაძალადობრივ მოძრაობებს არავითარი შანსი არ უნდა ჰქონდეთ უკეთ აღჭურვილი და მატერიალურად უზრუნველყოფილი ოპონენტების წინააღმდეგ. თუმცა, ისტორია სულ სხვაგვარ სურათს გვიხატავს და არაერთი წარმატებული არაძალადობრივი დაპირისპირების მაგალითს გვაძლევს, თუნდაც ბოლო ასწლეულის მანძილზე.

- 1930-40-იან წლებში ინდოელებმა, მასობრივი არათანამშრომლობის კამპანიის წყალობით, მოიპოვეს დამოუკიდებლობა, (ეკონომიკური ბოიკოტი, სკოლების ბოიკოტი, გაფიცვები, გადასახადის გადახდაზე უარის თქმა, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, თანამდებობის პირების გადადგომები), რამაც უმართავი გახდა სახელმწიფო და დაარწმუნა ბრიტანელები, გასულიყვნენ.
- 1950-60-იან წლებში აშშ სამოქალაქო უფლებათა მოძრაობამ, არაძალადობრივი კამპანიებით, შეძლო თანასწორი მოპყრობის უფლების მოპოვება, როგორებიც იყო: მონტგომერის ავტობუსების ბოიკოტი, ნეშვილის სასადილოების ბლოკირება, სადაც კარგად გამოჩნდა ინსტიტუციონალიზებული სეგრეგაციის არსებობის პრობლემა და მთელი საზოგადოების მობილიზების წინაპირობად იქცა.

- 1965-70 წლებში გაერთიანებული ფერმის მუშების ორგანიზაცია პატარა დაჯგუფებიდან ერთ-ერთ წამყვან ამერიკულ ორგანიზაციად იქცა, კალიფორნიელი მევენახეების წინააღმდეგ ორგანიზებული ეფექტური გაფიცვებისა და ბოიკოტის კამპანიების შემდეგ.
- 1986 წელს, ფილიპინებში მილიონობით ადამიანი შეურთდა აშშ-ს მიერ მხარდაჭერილი დიქტატორის, ფერდინანდ მარკოსის წინააღმდეგ აჯანყებულ სამხედროებს და სწორედ ამგვარმა არაძალადობრივმა კამპანიამ აიძულა მარკოსი, დაეტოვებინა ქვეყანა.
- 1988 წელს ჩილეს მოქალაქეებმა გადალახეს შიში და წამოიწყეს მასობრივი დემონსტრაციები ჩილეს დიქტატორის, ავგუსტო პინოჩეტის წინააღმდეგ. კამპანიები იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ერთგული თანამებრძოლებიც კი განუდგნენ მას და პინოჩეტი იძულებული გახდა, გადამდგარიყო.
- 1980-89 წლებში პოლონელებმა დააარსეს დამოუკიდებელი პროფესიული გაერთიანება, რომელიც სოლიდარობის მოძრაობის ნაწილი გახდა და პოლონეთი გაათავისუფლეს საბჭოთა მმართველობისგან.
- 1989 წელს პროტესტებისა და გაფიცვების სერია, რომელიც ხავერდოვანი რევოლუციის სახელით გახდა ცნობილი, საბჭოთა ოკუპაციისგან მშვიდობიანი გაათავისუფლების წინაპირობა გახდა ჩეხოსლოვაკიაში. მსგავსი პროცესები განვითარდა აღმოსავლეთ გერმანიაში, ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში 1991 წელს.
- 1980-იანების დასაწყისიდან წამოწყებული გაფიცვები, დემონსტრაციები, ბოიკოტები, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კამპანიები და საგარეო ზეწოლა სამხრეთ აფრიკაში, 90-იანების დასაწყისისთვის, აპართეიდის რეჟიმის დასრულების ძირითადი გამომწვევი მიზეზი იყო.
- მოდევნო ათწლეულებში სერბებმა (2000), ქართველებმა (2003) და უკრაინელებმა (2004) ავტორიტარული რეჟიმების დამარცხება შეძლეს, გაყალბებული არჩევნების გაპროტესტების გზით.
- 2005 წელს ლიბანელებმა სირიელთა არმიის ოკუპაცია დააასრულეს, მასობრივი არაძალადობრივი დემონსტრაციების მეშვეობით.
- 2006 წელს ნეპალელებმა მასობრივი დაუმორჩილებლობა წამოიწყეს და აიძულეს ხელისუფლება, აღედგინა სამოქალაქო მმართველობა.
- 2007-09 წლებში, ძალადობრივი აჯანყების პირობებში და სამხედრო რეჟიმის მმართველობის დროს, პაკისტანელმა იურისტებმა, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებმა და ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა, ორგანიზებული კამპანიის შედეგად, შეძლეს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის დაცვა და საგანგებო მდგომარეობის კანონების გაუქმება.

მმართველი კარგავს ძალაუფლებას, როცა ხალხი აღარ ემორჩილება

ჩვენ მიერ ჩამოთვლილმა სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობებმა ახლებურად გაიაზრეს ძალაუფლების ფენომენი და სწორედ ეს იქცა წარმატების საიდუმლოდ: ინსტიტუტები, ორგანიზაციები და სისტემები დამოკიდებულია ბევრი ჩვეულებრივი ადამიანის მუდმივ თანხმობაზე, თანამშრომლობასა და მორჩილებაზე. ამიტომ, თუ

ხალხი, ორგანიზებულად და გეგმაზომიერად, შეძლებს უარის თქმას მორჩილებასა და თანამშრომლობაზე, ამით მის ხელთ თავმოყრილი ძალაუფლება ანგარიშგასაწევი გახდება. ამიტომ, როდესაც ხალხი უარს ამბობს მორჩილებაზე - პრეზიდენტები, მერები, კომპანიის მმართველები, გენერლები და ზოგადად „ძალაუფლების“ მქონენი თვითნებურად ვეღარ მართავენ.

სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურებოდა არაძალადობრივი ტაქტიკური მოქმედებები, როგორცაა გაფიცვები, ბოიკოტები, მასობრივი დემონსტრაციები, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, პარალელური ინსტიტუტების შექმნა და ასობით სხვა ინსტრუმენტები. ძალადობაზე უარის თქმა იყო არა მხოლოდ მორალური, არამედ პრაგმატული არჩევანი. ორგანიზატორები აკვირდებოდნენ სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს, სწავლობდნენ საკუთარი ქვეყნის ისტორიას და რწმუნდებოდნენ, რომ სწორედ ამგვარი ტიპის წინააღმდეგობის ორგანიზება იყო საუკეთესო არჩევანი და წარმატების მომტანი.

უნარები და პირობები

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წარმატებული არაძალადობრივი კამპანიის ჩამოთვლაა შესაძლებელი, ბევრია წარუმატებლობის მაგალითიც. სწორედ იმ დროს, როცა მსოფლიო თვალს ადევნებდა პოლონეთსა და ჩეხეთში მიმდინარე წარმატებულ კამპანიებს, ტიანამენის მოედანზე მასობრივად დახოცეს აქტივისტები. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მეტი და მეტი ადამიანი მონაწილეობდა არაძალადობრივ კამპანიებში ბირმაში, ზიმბაბვეში, ეგვიპტესა თუ ირანში, მაგრამ მათ მიერ დასახული მიზნები ჯერაც არაა მიღწეული. აღმოსავლეთ ტიმორის დამოუკიდებლობის წინაპირობა წარმატებული სამოქალაქო წინააღმდეგობის კამპანია იყო და მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოცდილება შთაგონების წყაროდ იქცა ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლთათვის პალესტინაში, დასავლეთ საჰარასა და ტიბეტში, მათი ბრძოლა ისევ გრძელდება და საკითხები კვლავაც მოუგვარებელია.

რა განაპირობებს განსხვავებების არსებობას ჩვენ მიერ ჩამოთვლილსა და ბევრ სხვა შემთხვევას შორის?

სხვადასხვა სამოქალაქო წინააღმდეგობის მოძრაობის დახასიათებისას, ბევრ განსხვავებულ აზრს მოისმენთ. განსხვავებული აზრები არსებობს, თუ რატომ არის ზოგი მოძრაობა წარმატებული და რა განაპირობებს წარუმატებლობას¹. თითოეული

¹ ამ სტატიის მიზნებისთვის „წარმატებული“ კამპანია ნიშნავს ისეთ კამპანიას, რომელმაც დასახულ მიზანს მიაღწია და „წარუმატებელი“ ის კამპანია, რომელმაც ეს ვერ შეძლო. ამ ცნებაში ერთგვარი დროითი ფაქტორიც მოიაზრება. წარმატებულმა მოძრაობამ შეიძლება დასახულ მიზანს მიაღწიოს (ნარინჯისფერი რევოლუცია უკრაინაში, 2004), მაგრამ სხვადასხვა გამოწვევების ფონზე, დროთა

შემთხვევა განსხვავებული და ძალიან რთულია იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა. ყველაზე ხშირად მკვლევარები და ჟურნალისტები ასახელებენ შემდეგ არგუმენტს, რომ ამა თუ იმ კამპანიის შედეგზე გავლენას ახდენდა გარკვეული შიდა სტრუქტურები, წინაპირობები და განსაკუთრებული გარემოებები, რაც, ყველა ცალკეული კამპანიის შემთხვევაში, განსხვავებული იყო.

მაგალითად, მიიჩნევენ, რომ არაძალადობრივი კამპანიები წარმატებულია იქ, სადაც მჩაგვრელ ხელისუფლებას არ სურს სასიკვდილო ძალის გამოყენება. სხვები ასახელებენ, რომ ეკონომიკური ფაქტორები (ეკონომიკური იდეოლოგია, შემოსავლის დონე, სიმდიდრის განაწილება, საშუალო კლასის არსებობა) და განათლების დონეა გადამწყვეტი საზოგადოებრივი მოძრაობების წარმატებისთვის. ზოგიერთი თვლის, რომ სუპერსახელმწიფოების და რეგიონული ჰეგემონების როლი ყველა სხვა ფაქტორზე მნიშვნელოვანია. ასევე, სხვა სტრუქტურულ გარემოებებზეც მიუთითებენ ხოლმე, როგორებიცაა: ეთნიკური მრავალფეროვნება, პოლიტიკური და კულტურული ისტორია, მოსახლეობის რაოდენობა, მიწის ფართობი და სხვ. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტორები შესაძლოა მართლაც რომ მნიშვნელოვანი იყოს კონკრეტული საზოგადოებრივი მოძრაობისთვის.

თუმცა, ამ სტრუქტურალისტური არგუმენტების საპასუხოდ, ყურადღებას გავამახვილებდი ისეთ ფაქტორზე, როგორიცაა საზოგადოებრივი მოძრაობის უნარი - წარმართოს სამოქალაქო კამპანია და ასევე მეორე ფაქტორზე, რომელსაც აკადემიაში „ფორმასაც“² უწოდებენ. უნარები და „ფორმა“ ის ცვლადებია, რომელთა კონტროლიც საზოგადოებრივ მოძრაობებს ხელეწიფებათ. აქ იგულისხმება, თუ როგორ სტარტეგიას ირჩევს საზოგადოებრივი მოძრაობა, როგორია მასის საკომუნიკაციო ენა, ვისთან ქმნის კოალიციებს, როგორ და სად უპირისპირდება მოწინააღმდეგეს და უამრავი სხვა გადაწყვეტილება, რომელიც სამოქალაქო წინააღმდეგობის კამპანიის შემადგენელი ნაწილია.

განმავლობაში, მისი გამარჯვება შესაძლოა, მარცხის წინაპირობა გახდეს (უკრაინის გამოცდილების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად გაეცანით ოლენა ტრეგუბისა და ოქსანა შულიარის სტატია: „ბრძოლა სახალხო ძალაუფლების გამარჯვების შემდეგ“ 17 ნოემბერი, 2010 openDemocracy) და პირიქით - მოძრაობა შესაძლოა, ვერ აღწევდეს დასახულ მიზანს (ჩინეთის პროდემოკრატიული მოძრაობა 1989 წელს), მაგრამ გრძელვადიანი, მიზანმიმართული კამპანიების განმაპირობებელი შეიძლება გახდეს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიისწრაფოდეს დასახული მიზნისკენ (იხ. ლესტერ კურცის სტატია - „რეპესიების პარადოქსი ჩინეთში“, 17 ნოემბერი, 2010 openDemocracy). მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორები ჩვენს დეფინიციას არ ცვლის, მიგვაჩნია, რომ, სრული სურათის წარმოსადგენად, ამ გარემოებაზე ხაზგასმა მნიშვნელოვანია,

² სტატიის ინგლისურ ვერსიაში გამოყენებულია ტერმინი „agency“

ჩემი აზრით, ეს გარემოებები ხშირად უყურადღებოდაა მიტოვებული და თუ რატომ ხდება ეს, ამის ახსნა ამ ეტაპზე ჩემი მიზანი არ არის, თუმცა ერთი მიზეზი ისიც შეიძლება იყოს, რომ მკვლევარებს არ სჯერათ ან არ ესმით ის საფუძველი, რასაც არამალადობრივი კამპანიები ეფუძნება - რომ კოლექტიური ქცევის ცვლილებებმა შეიძლება ძალაუფლება გადაანაცვლოს მჩაგვრელი ხელისუფლებისგან საზოგადოებრივი მოძრაობებისკენ. ამის ნაცვლად, როგორც წესი, ვარაუდობენ, რომ უნდა ყოფილიყო რაიმე განსაკუთრებული მოვლენა, ან არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ცვლადები, რამაც ცვლილება გახადა შესაძლებელი.

რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია სტრუქტურული გარემოებების როლი საზოგადოებრივი მოძრაობების ტრანსფორმაციებისა და შედეგების ანალიზისას, მაგრამ არა მოძრაობების უნარებისა და ფორმების უკუგდების ხარჯზე. არაერთხელ ყოფილა, რომ სწორედ ფორმისა და უნარების ერთობლიობამ გახადა შესაძლებელი არსებული სტრუქტურული წინაპირობების გადალახვა და გარდაქმნა.

უნარებისა და ფორმის მნიშვნელობაზე არ დავობენ სამხედრო საქმის სპეციალისტები, ბიზნესის მკვლევარები. რატომ უნდა განვასხვავოთ მათგან არამალადობრივი კამპანიები? გენერალი ან კომპანიის მმართველი დაგცინებდათ, თუ ეტყოდით, რომ არჩეულ სტრატეგიას მნიშვნელობა არ ჰქონდა მათი წარმატებისთვის. სუნ ცუს კლასიკური ნაშრომი „ბროძლის ხელოვნება“ ასეთი პოპულარული არ იქნებოდა, თუ ადამიანები დაიჯერებდნენ, რომ შეჯიბრის შედეგი ყოველთვის მატერიალურ წინაპირობებზეა დამოკიდებული.

სწორედ აქ გვინდა დავუბრუნდეთ სტატის დასაწყისში დასმულ კითხვას და ხელახლა ვიკითხოთ, თუ რა განაპირობებს სამოქალაქო მოძრაობების წარმატებას. პასუხის ძებნისას, ჩვენი მიზანია, ყურადღება მივაქციოთ იმ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებსა და წარმატებულ გამოცდილებებს, რომელსაც ცნობილი საზოგადოებრივი მოძრაობები იყენებდნენ და მიუხედევად იმისა, რომ უნარებისა და ფორმის ანალიზი ბევრი ფაქტორის იდენტიფიცირების შესაძლებლობას გვაძლევს, მათი დაწურვით, სამი ძირითადი გარემოების გამოყოფა შესაძლებელი: ერთიანობის, დაგეგმვისა და არამალადობრივი დისციპლინის.

ერთიანობა, დაგეგმვა და დისციპლინა

ერთი შეხედვით, ჩამოთვლილი ფაქტორების მნიშვნელობა უდავოა. თუმცა, ხშირად, მათ ყურადღებას არ აქცევენ და არც მათ როლს ითვალისწინებენ სამოქალაქო მოძრაობების კვლევის, მათი დეტალური ანალიზის დროს. თითოეული გარემოება ცალკე გამოკვლევას იმსახურებს.

ერთიანობა მნიშვნელოვანია, რადგან არაძალადობრივი მოძრაობების ძალა ხალხის ჩართულობაზეა დამოკიდებული. მარტივად რომ ვთქვათ, რაოდენობა მნიშვნელოვანია. რაც უფრო მეტი ადამიანი უჭერს მოძრაობას მხარს, მით მაღალია მისი ლეგიტიმაცია, მეტია ძალაუფლება და მრავალფეროვანია მის მიერ გამოყენებული ტაქტიკური რეპერტუარი. წარმატებული მოძრაობები მუდმივად ცდილობენ ახალი ჯგუფების შემოერთებას, როგორებიცაა: ქალები და კაცები; ფერმერები, დღიური მუშები, მეწარმეები, პროფესიონალები; ახალგაზრდები, ზრდასრულები და მოხუცები; მდიდრები, საშუალო კლასის წარმომადგენლები და ღარიბები; პოლიცია, ჯარი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები და ასევე, სხვა ჯგუფები.

წარმატებული მოძრაობები ურთიერთობენ მოწინააღმდეგის მხარდამჭერებთანაც, რადგან მოძრაობის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია გამაერთიანებელი ხედვის შექმნა და მოწინააღმდეგის მიმართ ლოიალურად განწყობილი ნაწილის „გადმოზირება“. მაგალითად, სამხრეთ აფრიკის ანტი-აპართეიდული მოძრაობა, მუდმივ სამოქალაქო წინხთან ერთად, აჟღერებდა „ეროვნული შერიგების“ იდეასაც, რასაც ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა თეთრკანიან მოსახლეობაშიც, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ადრე აპართეიდული სახელმწიფოს იდეას ემხრობოდნენ.

არაძალადობრივი მოძრაობების მონაწილეებს, სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვისას, რთული გადაწყვეტილებების მიღება უწევთ. სტრატეგიული დაგეგმვის როლი ამ პროცესში მთავარია. მიუხედავად მიზნების გულწრფელობისა და ოპონენტის მოქმედებების მიუღებელი ხასიათისა, წარმატებები არ მიიღწევა სპონტანური, იმპროვიზირებული მოქმედებებით, რაც არ უნდა კარგად იყოს აღსრულებული ამგვარი მოქმედებები. სამოქალაქო მოძრაობები ძალას იძენენ, როცა კარგად გეგმავენ სამოქალაქო წინააღმდეგობის ეტაპობრივ განვითარებას, ფართო საზოგადოების მობილიზებასა და დასახული, მკაფიო მიზნების მიღწევას.

საჭირო ტაქტიკის არჩევა და სხვადასხვა ტაქტიკური მოქმედებების მიმდევრობის დაგეგმვა, ცვლილების შესაძლო ვერსიების ფორმულირება და მოძრაობის მხარდამჭერთა ინტერესებთან დაახლოვება, მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მიზნების იდენტიფიცირება, საკომუნიკაციო სტრატეგიის ჩამოყალიბება კოალიციების უკეთ ფორმირებისთვის - ის ჩამონათვალია, რომელსაც უნდა პასუხობდეს ეფექტური სამოქალაქო კამპანია. ამის მიღწევა მხოლოდ ყოვლისმომცველი ანალიზითაა შესაძლებელი, რისთვისაც სამოქალაქო მოძრაობები საზოგადოებაში აგროვებენ ინფორმაციას, ეკითხებიან ხალხს, ანალიზებენ საკუთარ შესაძლებლობებს, მოწინააღმდეგესა და სხვა შესაძლო მოთამაშეებს და ამას აკეთებენ მუდმივად, კამპანიის მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში.

და ბოლოს, სტრატეგია მხოლოდ იმ შემთხვევაშია წარმატებული, როდესაც, მისი აღსრულებისას, დისციპლინაა დაცული. არაძალადობრივი კამპანიის ყველაზე დიდი რისკია, თუ მისი მონაწილე ზოგიერთი წევრი ძალადობის გამოყენებას გადაწყვეტს. ამიტომ, არაძალადობრივი დისციპლინა, ანუ უნარი - უარი თქვა ძალადობის გამოყენებაზე, მათ შორის, პროვოკაციების დროს, მუდმივად უნდა გამომუშავდეს კამპანიის წევრებში. ამგვარ ქცევას პრაქტიკული მიზნები აქვს. ძალადობრივმა შემთხვევებმა შესაძლოა, მნიშვნელოვნად დააზიანოს მოძრაობის რეპუტაცია და ამასთანავე, მისცეს დამატებითი საფუძველი ოპონენტს, გამოიყენოს რეპრესიები ჯგუფის წინააღმდეგ. ამასთანავე, თუ ჯგუფი ახერხებს არაძალადობრივი დისციპლინის შენარჩუნებას, მასთან თანამშრომლობის სურვილი გაცილებით უფრო მეტ პოტენციურ მეკავშირეს უჩნდება.

ამ თემების გამოკვლევამ შესაძლოა, არაერთი წიგნის დაწერა მოითხოვოს, ახალ-ახალი ცოდნა გამუდმებით ჩნდება არაძალადობრივი მოძრაობების კვლევების მიმართულებით. ყველა ახალი მოძრაობა გარკვეულ სიახლეს მატებს სფეროს, თუმცა, მიუხედავად ამისა, კვლავაც უამრავი რამაა გამოსაკვლევია არაძალადობრივი მოძრაობების ხელოვნებისა და მეცნიერების შესახებ.

ჩვენ მიერ ჩამოთვლილი სამი ატრიბუტი: ერთიანობა, დაგეგმვა და დისციპლინა - ერთგვარი მუდმივაა, რომელიც ზოგად ჩარჩოს ქმნის და წევრებსა და მხარდამჭერებს, ასევე მკვლევარებს, შესაძლებლობას აძლევს, შეაფასონ ჯგუფის განვითარების ხარისხი. არსებობს ერთიანობა? არსებობს გეგმა? არსებობს დისციპლინა? მათ, ვინც ეს პრინციპები გაითვალისწინეს, უკვე შეიტანეს საკუთარი წვლილი უფრო მშვიდობიანი და სამართლიანი მსოფლიოს შექმნაში. მომავალს განსაზღვრავს ის, ვინც გააგრძელებს ამ მემკვიდრეობას.